კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლების შესაბამისად, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების ხელშეწყობის სამსახურის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე **გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად** აცხადებს კონკურსს სამინისტროს სისტემაში (ჰორიზონტალური გადაყვანა).

კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულ, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი/მსგავსი ფუნქციების მქონე III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტებს.

ვაკანტური თანამდებობის ფუნქციები:

- ტერიტორიული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს მიერ დაფინანსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
- ტერიტორიულ ორგანოში, პროგრამების განხორციელების მიმართულებით შემოსული განცხადებებისა და სხვა პირადი კორესპონდენციის განხილვაში მონაწილეობის მიღება;
- სამოქმედო ტერიტორიაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა (დევნილი ოჯახი) საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;
- დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების ხელშეწყობა;
- სამსახურის უფროსის მიერ კომპეტენციის ფარგლებში გაცემული სხვა დავალებების შესრულება.

დაინტერესებულმა კონკურსანტმა მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით „edocument-ში“ უნდა გამოაგზავნოს განცხადება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე - 597023113.